ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 276

“ 19 ” ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. №12-ში (ბლოკი „ც“) პირველ საცხოვრებელ სართულზე მდებარე №166 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.197.01.03.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. №12-ში (ბლოკი „ც“) პირველ საცხოვრებელ სართულზე მდებარე №166 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.197.01.03.166) *პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების* თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 მაისის №25.865.977 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. №12-ში (ბლოკი „ც“) პირველ საცხოვრებელ სართულზე მდებარე 61.90 კვ.მ. №166 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.197.01.03.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ხათუნა ძამაშვილისთვის (პ/ნ. 01017006061) საკუთრებაში გადაცემაზე, *სიმბოლურ ფასად* - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე